# ხელშეკრულება №11

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

15 თებერვალი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული ბაზა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ გიორგაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 407882857) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ქეი მარკეტ (საიდენთიფიკაციო კოდი 406115840 ) წარმოდგენილი მისი დირექტორის ... ზარიამიძის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვა

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა

*2. შესყიდვის ობიექტია:*

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15131640 | კატლეტი | ცალი | 4 | 1,1 | 4,4 |
| 2 | 15812120 | ხორცის ბლინი | ცალი | 8 | 0,5 | 4 |
| 3 | 15812120 | ლობიანის ღვეზელი | ცალი | 4 | 0,8 | 3,2 |
| 4 | 15812120 | ხაჭაპური იმერული | ცალი | 1 | 5 | 5 |
| 5 | 03222111 | ბანანი | კგ | 1,213 | 4 | 4,85 |
| 6 | 15320000 | მულტიმიქსი სადაჩოკი | ცალი | 1 | 4,3 | 4,3 |
| 7 | 15131130 | ძეხვი მოხარშული საექიმო | კგ | 1,806 | 7,5 | 7,85 |
| 8 | 15811100 | პური | ცალი | 6 | 0,6 | 2,4 |
| 9 | 15842100 | სნიკერსი | ცალი | 6 | 1 | 4 |
| 10 | 15112130 | შემწვარი ქათამი | ცალი | 1 | 10 | 10 |
| 11 | 15112130 | მოხარშული ქათამი | კგ | 1,25 | 8 | 10 |
| 12 | 15811100 | პური | ცალი | 2 | 0,6 | 1,2 |
| 13 | 15131130 | ძეხვი მოხარშული საექიმო | კგ | 0,76 | 7,5 | 5,7 |
| 14 | 15842100 | სნიკერსი | ცალი | 2 | 1 | 2 |
| 15 | 15320000 | კენკრა სადაჩოკი 1ლ | ცალი | 1 | 2,3 | 2,3 |
| 16 | 15812120 | ლობიანის ღვეზელი | ცალი | 2 | 0,8 | 1,6 |
| 17 | 15812120 | ხაჭაპური იმერული | ცალი | 1 | 2 | 2 |
| 18 | 15131640 | კატლეტი | ცალი | 2 | 1,1 | 2,2 |
| 19 | 15812120 | ხორცის ბლინი | ცალი | 2 | 0,5 | 1 |
| 20 | 15112130 | შემწვარი ქათამი | ცალი | 1 | 10 | 10 |
| 21 | 03222111 | ბანანი | კგ | 0,5 | 4 | 2 |
| 22 | | | | | სრული ღირებულება | 90 |

*3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) ლარი ყველა თანმდევი გადასახადის გათვალისწინებით.

*4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

*5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.გორი პუშკინის#1/ზ

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები).

*6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

*7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღისა.

*8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია :-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია: - მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 კალენდარულ დღეში.- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

*9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03პროცენტის ოდენობით.

### *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება *2017 წლის 15 თებერვლიდან 2017 წლის 31 მარტამდე.*

### *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების" გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის უფლებამოსილი, დირექტორის მოადგილე - ილია თოდაძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

***16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები***

**შემსყიდველი:**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა

ს/კ 417882857

მის. ქ.გორი, მშვიდობის გამზ N12ა

ბანკი: საქართველოს ხაზინა

ა/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი: ბესიკ გიორგაშვილი

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს. ქეი მარკეტ

ს/კ 406115840

მის: ქ.გორი, პუშკინის #1/ზ

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“

ა/ა GE97BG0000000853093500

მიმწოდებელი: არჩილ მარიამიძე

**მიღება-ჩაბარების აქტი #11**

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი 20 თებერვალი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი 417882857) წარმოდეგენილი მისი თანამშრომლის, დირექტორის მოადგილის - ილია თოდაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ქეი მარკეტ (საიდენთიფიკაციო კოდი 406115840) წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მარიამიძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 15 თებერვალს ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა" "შემსყიდველს" მიაწოდა შემდეგი დასახელების პროდუქცია:

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15131640 | კატლეტი | ცალი | 4 | 1,1 | 4,4 |
| 2 | 15812120 | ხორცის ბლინი | ცალი | 8 | 0,5 | 4 |
| 3 | 15812120 | ლობიანის ღვეზელი | ცალი | 4 | 0,8 | 3,2 |
| 4 | 15812120 | ხაჭაპური იმერული | ცალი | 1 | 5 | 5 |
| 5 | 03222111 | ბანანი | კგ | 1,213 | 4 | 4,85 |
| 6 | 15320000 | მულტიმიქსი სადაჩოკი | ცალი | 1 | 4,3 | 4,3 |
| 7 | 15131130 | ძეხვი მოხარშული საექიმო | კგ | 1,046 | 7,5 | 7,85 |
| 8 | 15811100 | პური | ცალი | 4 | 0,6 | 2,4 |
| 9 | 15842100 | სნიკერსი | ცალი | 4 | 1 | 4 |
| 10 | 15112130 | შემწვარი ქათამი | ცალი | 1 | 10 | 10 |
| 11 | 15112130 | მოხარშული ქათამი | კგ | 1,25 | 8 | 10 |
| 12 | | | | | სრული ღირებულება | 60 |

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით:

შემსყიდველი

/ი.თოდაძე/

მიმწოდებელი

/ა.მარიამიძე/

## მიღება-ჩაბარების აქტი #11/1

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი 20 თებერვალი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (საიდენტიფიკაციო კოდი 417882857) წარმოდეგენილი მისი თანამშრომლის, დირექტორის მოადგილის - ილია თოდაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ქეი მარკეტ (საიდენთიფიკაციო კოდი 406115840) წარმოდგენლი მისი დირექტორის არჩილ მარიამიძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 15 თებერვალს ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა“ "შემსყიდველს" მიაწოდა

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15811100 | პური | ცალი | 2 | 0,6 | 1.2 |
| 2 | 15131130`` | ძეხვი მოხარშული საექიმო | კგ | 0,76 | 7,5 | 5.7 |
| 3 | 15842100 | სნიკერსი | ცალი | 2 | 1 | 2 |
| 4 | 15320000 | კენკრა სადაჩოკი 1ლ | ცალი | 1 | 2,3 | 2.3 |
| 5 | 15812120 | ლობიანის ღვეზელი | ცალი | 2 | 0,8 | 1.6 |
| 6 | 15812120 | ხაჭაპური იმერული | ცალი | 1 | 2 | 2 |
| 7 | 15131640 | კატლეტი | ცალი | 2 | 1,1 | 2.2 |
| 8 | 15812120 | ხორცის ბლინი | ცალი | 2 | 0,5 | 1 |
| 9 | 15112130 | შემწვარი ქათამი | ცალი | 1 | 10 | 10 |
| 10 | 03222111 | ბანანი | კგ | 0,5 | 4 | 2 |
| 11 | | | | | სრული ღირებულება | 30 |

შემდეგი დასახელების პროდუქცია:

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით:

შემსყიდველი

/ი.თოდაძე/

მიმწოდებელი

/ა.მარიამიძე/